KA030128168584920

№ 01-372 **17 / იანვარი / 2020 წ.**

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/
საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს
უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ანა დარახველიძეს

ქალბატონო ანა,

განვიხილეთ თქვენი მიმდინარე წლის 14 იანვრის N01-262 წერილით წარმოდგენილი საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ განცხადება, რომელიც ეხება მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ბიუჯეტის ასიგნებების გაზრდის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და გაცნობებთ, რომ „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამის (პროგრამული კოდი - 27 03 01) 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი იყო 754 000 000 ლარი, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 793 706 220 ლარის ოდენობით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე). აღნიშნული პროგრამის ხარჯვის დინამიკიდან გამომდინარე, ხარჯების სრულად დასაფინანსებლად, საჭირო გახდა ასიგნებების გაზრდა, რომელიც განხორციელდა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მ.შ. საქართველოს მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტებში წარმოქმნილი თავისუფალი რესურსებისა (38 806 020 ლარი) და იანვარ-დეკემბრის თვეებში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების გამოყენების (900 200 ლარი) ხარჯზე.

აგრეთვე, „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამის ფარგლებში წარმოქმნილი ვალდებულებების ნაწილობრივი დაფარვის მიზნით, საქართველოს მთავრობის 19 დეკემბრის N2660 განკარგულების საფუძველზე წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოიყო 35 000 000 ლარი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსი, პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

ბექა ჯაყელი